# AW1-E

# ანალიტიკური წერა

**სამუშაოდ გეძლევათ 70 წთ.**

გაითვალისწინეთ: ამ ფურცლებზე შესრულებული ნაწერები არ მოწმდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.

**დავალება I – თემა მოცემულ საკითხზე**

პროფესიის არჩევისას ახალგაზრდა თავის გატაცებებსა და მისწრაფებებს არ უნდა აჰყვეს; მან ისეთი პროფესია უნდა აირჩიოს, რომელიც მომავალში ფინანსურად უზრუნველყოფს და საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებას გაუადვილებს.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; ახსენით თქვენი პოზიცია, საკუთარი აზრის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

*ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.*

## შავი სამუშაოსათვის

## დავალება II – მსჯელობის ანალიზი

ხელმძღვანელმა სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომისათვის დაავალა ერთ-ერთ რეგიონში მდებარე რამდენიმე არქეოლოგიური ობიექტის ანგარიშის შესწავლა და ამის საფუძველზე რეგიონში მოსახლეობის მიგრაციის მიზეზების დადგენა. არქეოლოგიური ობიექტები დროის ერთსა და იმავე პერიოდს მიეკუთვნება.

სტუდენტი გაეცნო მხოლოდ ორი – A და B – ობიექტის ანგარიშს. არქეოლოგიური ანგარიშის მიხედვით, A ობიექტი, რომელიც მდინარის პირას მდებარეობს, წარმოადგენს თხელ კულტურულ ფენას*, სადაც, საყოფაცხოვრებო ნივთებთან ერთად, აღმოჩენილია საბრძოლო იარაღი და საერთო სამარხი, ასევე, შლამის ნაშთები. ამ მასალაზე დაყრდნობით, სტუდენტმა მიიჩნია, რომ ეს ტერიტორია ომის გამო დაცარიელდა.

B ობიექტზეც, არქეოლოგიური ანგარიშის მიხედვით, აღმოჩნდა თხელი კულტურული ფენა, რომელშიც ნაპოვნი იყო საყოფაცხოვრებო ნივთები, სამკაული, საბრძოლო იარაღი, ასევე, წვრილფეხა საქონლის ნაშთები და ნახანძრალის კვალი. სტუდენტის აზრით, მოსახლეობას ეს ადგილიც ომის გამო უნდა დაეტოვებინა.

სტუდენტმა მთელ რეგიონზე განაზოგადა ამ ორი ანგარიშის ანალიზის შედეგები და საბოლოოდ დაასკვნა, რომ ამ რეგიონიდან მოსახლეობის გადასახლების მიზეზი მტრის თავდასხმები უნდა ყოფილიყო.

** არქეოლოგიაში კულტურული ფენა ნიშნავს მიწის შრეს, რომელშიც მოქცეულია ადამიანთა ცხოვრების ამსახველი ნივთიერი მასალა. არქეოლოგიურ ობიექტზე ე. წ. თხელი კულტურული ფენის აღმოჩენა მიანიშნებს, რომ ამ ადგილას მოსახლეობას დიდი ხნის განმავლობაში არ უცხოვრია.*

გამოავლინეთ მსჯელობის ხარვეზები; გააანალიზეთ, რამდენად დამაჯერებელია სტუდენტის მიერ A და B ობიექტებთან დაკავშირებით გამოტანილი დასკვნები, საკმარისია თუ არა ამ დასკვნების გამოსატანად ტექსტში წარმოდგენილი ინფორმაცია, რამდენად სწორად არის გამოტანილი საბოლოო დასკვნა.

*ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.*

## შავი სამუშაოსათვის

------------------------------------------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------------------------------------------